სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 23

2018 წ. "27" 11

ქ.თბილისი

,,შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №50-ე გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს ევროპის უნივერსიტეტის №7482 სააპელაციო საჩივრის, წარმოების მასალების, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №50 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^7-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნეს ,,შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №50 გადაწყვეტილება.
2. სააპელაციო საბჭოს 2018 წლის 27 ნოემბრის №6 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი
ნინო დობორჯგინიძე